

# ბანქორნინების მიზეზები, ბარიერები და შედეგები ძალადობის მსხვერპლ ქალებში

მაია მესტვირიშვილი,<sup>1</sup> მარიამ კვიციანი<sup>2</sup>,  
ნათია მესტვირიშვილი,<sup>3</sup> თინა ცომაია<sup>4</sup>

## აბსტრაქტი

გენდერული ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც ხშირად გვხვდება ისეთ საზოგადოებებში, მათ შორის საქართველოში, სადაც ქალებს ნაკლები სოციალური და ეკონომიკური გავლენები აქვთ. მიუხედავად ბოლო ათწლეულებში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ნაბიჯებისა, ფემიციდის, როგორც გენდერული ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმის, მაჩვენებელი საგანგაშოა. ფემიციდის შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ ქალების მკვლელობები ხშირად მათი ქმრების, პარტნიორების ან ყოფილი პარტნიორების მიერ ხდება, რაც ნიშნავს, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დასრულება (განქორწინება) ქალებისთვის გაზრდილ საფრთხეს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია სოციო-კულტურული და სტრუქტურული ფაქტორების ანალიზი, რაც (1) გავლენას ახდენს განქორწინების გადაწყვეტილებაზე ძალადობის მსხვერპლ ქალებში, (2) ქმნის ბარიერს განქორწინების პროცესში და (3) ზრდის ძალადობის საფრთხეს ურთიერთობების დასრულების შემდეგ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და 4 ინტერვიუ პოლიტიკის დოკუმენტის შემქმნელებთან.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალების უმრავლესობა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, როგორც ძალადობის მსხვერპლთან, გვიან აკეთებს, რაც დაკავშირებულია სოციო-კულტურულ ნორმებთან და სტიგმასთან. ქალების დუმილი და მოსალოდნელი საფრთხის შიში ხელს უშლის მათ დახმარების ძიებაში, ხოლო ინსტიტუციური ბარიერები და საზოგადოების დამოკიდებულებები დამატებით ართულებს სიტუაციას. განქორწინების შემდეგ, ქალები ხშირად რჩებიან იზოლირებულნი და მომატებული საფრთხის ქვეშ ყოფილი პარტნიორებისგან.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გენდერული ძალადობის პრევენცია საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს სოციო-კულტურული, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერული ძალადობა, პარტნიორის მხრიდან ძალადობა, განქორწინების ბარიერები

- <sup>1</sup> მაია მესტვირიშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აფილირებული მკვლევარი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
- <sup>2</sup> მარიამ კვიციანი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აფილირებული მკვლევარი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
- <sup>3</sup> ნათია მესტვირიშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი, აფილირებული მკვლევარი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
- <sup>4</sup> თინა ცომაია, პროფესორი, სოციალური მეცნიერებების დოქტორი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

## შესავალი

გენდერული ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელსაც არ აქვს ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური, გეოგრაფიული და კულტურული საზღვრები. მიუხედავად ამისა, გენდერული ძალადობა უფრო ხშირია ისეთ საზოგადოებებში, სადაც ქალებს ნაკლები სოციალური და ეკონომიკური გავლენები აქვთ (Benson & Fox, 2002; Grigaitė et al., 2019). საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. გლობალური ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიური მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 146 ქვეყანას შორის საქართველოს უჭირავს 76-ე ადგილი გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით, რაც წინა წლის მაჩვენებელს 21 პოზიციით ჩამორჩება (World Economic Forum, 2023). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო ათწლეულების მანძილზე საგრძნობი ძალისხმევა იქნა განუხლები გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში, გენდერული ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმის, ფემიციდის, დონის გათვალისწინებით, მდგომარეობა საგანგაშოა. ფემიციდი წარმოადგენს ქალების გენდერული ნიშნით მკვლელობას და არის გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმების ლეტალური შედეგი (Corradi et al., 2016). მკვლელობებს საფუძვლად შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ედოს, რომლებიც, თავის მხრივ, ხშირად განპირობებულია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული გენდერული როლებით, ქალების დისკრიმინაციით, საზოგადოებაში მამაკაცებსა და ქალებს შორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებით და ა.შ. (United Nations Office on Drugs and Crime, 2021).

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მიმართულეობით, ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯებისა და პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების პრევენცია და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020). საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2014-2022 წლებში ჩადენილია 186 ქალის მკვლელობა, აქედან 92 მკვლელობა ჩადენილია ოჯახური ნიშნით, ხოლო 94 – სხვა მოტივით. ამავე პერიოდში ჩადენილია ქალის მკვლელობის 129 მცდელობა, მათ შორის ოჯახური ნიშნით – 79, ხოლო სხვა მოტივით – 50 ქალის მკვლელობის მცდელობა (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 2022). სტატისტიკის მიხედვით როგორც ფემიციდს, ისე ფემიციდის მცდელობას, ქალების მიმართ სჩადიან ქმრები, პარტნიორები ან ყოფილი პარტნიორები. ყველაზე ხშირად როგორც ფემიციდის, ისე ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივად მითითებულია „შურისძიება“ და „ეჭვიანობა“ (ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020).

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში (ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020) საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფემიციდის ხშირი შემთხვევა უკავშირდება ყოფილ პარტნიორს ან მეუღლეს, რაც ნიშნავს, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დასრულება ქალებისთვის არათუ გამოსავალს, არამედ გაზრდილ საფრთხესაც კი შეიძლება უკავშირდებოდეს. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა მარტო იმ სოციო-კულტურული თუ ფსიქოლოგი-

ური ფაქტორების კვლევა, რომელიც ხელს უწყობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ზრდას, არამედ მასთან ერთად, იმ ფაქტორების ძიება, რომლებიც აიძულებს ქალებს დარჩნენ ძალადობრივ ურთიერთობებში იმ მომატებული საფრთხის გამო, რომელიც ურთიერთობის დასრულებას უკავშირდება.

გენდერული ძალადობის ლეტალური ფორმა თითქმის არასდროს არ არის იზოლირებული შემთხვევა და ყოველთვის იწყება ძალადობის უფრო მსუბუქი და ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული ფორმებიდან (Marcuello-Servós et al., 2016; Zara & Gino, 2018). შესაბამისად, ძალადობის ნებისმიერი ფორმა პოტენციურად განიხილება, როგორც რისკი მომავალში უფრო მძიმე ფორმის ძალადობისა, რასაც შეიძლება ლეტალური შედეგიც კი მოჰყვეს.

2022 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევის თანახმად, საქართველოში ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 26.5 პროცენტს გამოუცდია ძალადობა პარტნიორის მხრიდან ცხოვრების მანძილზე (ერთი მაინც, ძალადობის ოთხი ფორმიდან: ფიზიკური, სექსუალური, ეკონომიური და ფსიქოლოგიური) (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022). ძალადობის მსხვერპლი ბევრი ქალისთვის ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე ადრე იწყება პარტნიორების ურთიერთობაში და მოიცავს მაკონტროლებელ ქმედებებს მათი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან (Abramsky et al., 2011; González & Rodríguez-Planas, 2020). პარტნიორის მხრიდან ძალადობა, და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ძალადობა, მჭიდრო კავშირშია მაკონტროლებელ ქცევასთან, როგორცაა მუდმივი ეჭვიანობა და ლალატში დადანაშაულება, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შეზღუდვა და სხვა პირებთან კომუნიკაციის კონტროლი (WHO, 2021). საქართველოში ჩატარებული ეროვნული კვლევის თანახმად, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ თითქმის ყოველ მეხუთე ქალს (18.8 პროცენტი) ცხოვრების მანძილზე გამოუცდია თუნდაც ერთი მაკონტროლებელი ქცევა თავისი პარტნიორის მხრიდან (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022).

გენდერული ძალადობის შემთხვევების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძალადობრივი პარტნიორული ურთიერთობის დასრულება, ქალებისთვის გაზრდილ რისკებთან არის დაკავშირებული (Alhalal et al., 2012; Campo et al., 2020 ; Humphreys & Thiara, 2003). მიუხედავად იმისა, რომ ქალები განშორებას საკუთარი ავტონომიისა და კეთილდღეობის აღდგენის იმედით მიმართავენ, კვლევები აჩვენებს, რომ განშორების შემდგომი ცხოვრება ხშირად ხასიათდება გაგრძელებული ძალადობით, არასტაბილურობითა და სისტემური ჩავარდნებით (Ellis, 1990; DeKeseredy et al., 2018).

ძალადობის მსხვერპლი ქალების მეუღლესთან/პარტნიორთან განშორების შემდგომი პერიოდის შესახებ ცოდნა საკმაოდ მწირია, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ სამეცნიერო ცოდნის დეფიციტზე (Morgado, 2019).

აღნიშნული კვლევის მიზანია წვლილი შეიტანოს არსებულ კვლევით ველში გენდერული განშორების შემდგომ ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებით, გააანალიზოს სოციო-კულტურული და სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც, ერთი მხრივ, მოქმედებს ქალების გადაწყვეტილებაზე განქორწინდნენ ძალადობრივი ურთიერთობიდან, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის ბარიერებს ამ პროცესში და ზრდის შემდგომი ძალადობის შემთხვევებს.

## არის თუ არა განქორწინება გენდერული ძალადობის დასასრული? განშორების შემდეგ ძალადობის რისკები, დინამიკა და შედეგები

ძალადობრივ პარტნიორთან განშორება, ხშირ შემთხვევაში, აღიქმება, როგორც ქალის თავისუფლების, უსაფრთხოების და ავტონომიის ხელახლა დამკვიდრების მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თუმცა, მრავალი ემპირიული კვლევა აჩვენებს, რომ ქალებისათვის ეს გარდამტეხი გადაწყვეტილება, უსაფრთხოების მოპოვების ნაცვლად, შესაძლოა გახდეს ძალადობის ინტენსიფიკაციისა და გახანგრძლივების საწყისი წერტილი (Bruton & Tyson, 2018; DeKeseredy et al., 2018; Ignjatović, 2019; Logan & Walker, 2004; Walker et al., 2004).

განშორების შემდგომი ძალადობა არის წარსული ძალადობის გაგრძელება, მოდიფიცირებული ფორმებით – ფსიქოლოგიური ზენოლით, იურიდიული მანიპულაციებითა და ეკონომიკური კონტროლის მეშვეობით (Brownridge et al., 2008; Hardesty & Chung, 2006 Spearman et al., 2022).

საკითხის გარშემო არსებული ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ განშორების შემდეგ ძალადობა არამცთუ არ წყდება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ძლიერდება (Toews & Bermea, 2017; Spearman et al., 2022). ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ქალების მესამედზე მეტი განიცდის ძალადობას განშორების შემდეგ 6–12 თვის მანძილზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ ურთიერთობიდან გამოსვლა ავტომატურად ნიშნავს ძალადობის დასრულებას (Humphreys & Thiara, 2003). კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ქალებმა, რომლებიც დაშორებულები იყვნენ პარტნიორებს, დააფიქსირეს ძალადობის გავრცელების შვიდჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე დაქორწინებულებმა (Brownridge et al., 2008).

დაშორების შემდგომ ძალადობის პრედიქტორებს წარმოადგენს ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა და წარსული ძალადობის გამოცდილება, რაც ზრდის ძალადობის რისკს განქორწინების შემდგომ, თუმცა ძალადობის შემთხვევები შეიძლება გამოვლენილი იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც ქალს ქორწინების პერიოდში არ აქვს გამოცდილი ძალადობა პარტნიორის მხრიდან (Spiwak & Brownridge, 2005).

მკვლევრები ცდილობენ გამოავლინონ ის ფაქტორები, რაც შესაძლოა დაშორების შემდგომ ძალადობის მამოტივირებელი იყოს. აღმოჩნდა, რომ განქორწინების შემდგომ გამოვლენილი ძალადობის გაგრძელება განპირობებულია მოძალადის სურვილით, შეინარჩუნოს კონტროლი. ასეთ დროს ძალადობა ხშირად იძენს შურისძიების ხასიათს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაშორების ინიციატივა ქალისგან მოდის და მოძალადე აღიქვამს ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს (Ignjatović, 2019).

განშორების შემდგომ ძალადობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ძალადობით: მოძალადეები განქორწინების შემდგომ განაგრძობენ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას, რაც მოიცავს ალიმენტის გადაუხდელობას, ფინანსურ ზენოლასა და დასაქმების ხელის შეშლას (Toews & Bermea, 2017). ეკონომიკური ბერკეტები, თავის მხრივ, იწვევს გართულებებს საცხოვრებელი სტაბილურობის მიღწევაში. ემპირიული მონაცემების მიხედვით ქალების 38% განშორების შემდეგ დარჩა საცხოვრებლის გარეშე (Baker et al., 2003). ასეთ მდგომარეობას უმეტესად თან სდევს უსაფრთხოების დაკარგვა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათი ხელახალი სოციალიზაციის პროცესს.

დაშორების პროცესი მნიშვნელოვან ფსიქოემოციურ დისტრესს უკავშირდება: განშორება, განსაკუთრებით ქალების მიერ ინიცირებული, მნიშვნელოვნად ზრდის ფატალური ძალადობის, ტრავმისა და ფსიქოლოგიური ზიანის რისკს (Logan & Walker, 2004). შესაბამისად, განშორების შემდგომ პერიოდში ქალები ხშირად აწყდებიან მწვავე ფსიქოლოგიურ სტრესს, შფოთვისა და დეპრესიას, რომელიც არა მხოლოდ წარსული ძალადობის შედეგია, არამედ იმ სისტემური გამოწვევების, რომელთაც ისინი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მცდელობაში აწყდებიან.

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) და შფოთვითი სიმპტომები არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს იწვევს, არამედ შესაძლოა გახდეს განმეორებითი ძალადობის რისკფაქტორი.

აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოცდილება არ ჯდება ტრადიციულ PTSD ჩარჩოებში, რადგან ტრავმა არ სრულდება ძალადობრივი ურთიერთობის დასრულებით (Hulley et al., 2023). შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სახეზეა განრგძობითი ტრავმული სტრესი (CTS), რომელიც მუდმივ საფრთხეში ცხოვრების შედეგია. მნიშვნელოვანია, რომ პასუხი კითხვაზე: „რატომ არ დაშორდა თუ მასზე ძალადობდნენ?“ არა როგორც მხოლოდ მსხვერპლის სისუსტის გამოვლენა, არამედ განხილული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შიშის ფუნქციური როლის გათვალისწინებით, როგორც თავდაცვის სტრატეგია (Bruton & Tyson, 2018). მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები შექმნილია ქალების დასაცავად, ისინი ხშირად ვერ რეაგირებენ ადეკვატურად. შვილებთან ურთიერთობის სამართლებრივი დარეგულირება, როგორცაა შვილების მონახულების უფლება, ხშირად ხდება მოძალადეების მიერ ძალაუფლების აღდგენისთვის გამოყენებული მექა (Humphreys & Thiara, 2003; Hardesty & Chung, 2006). უფრო მეტიც, მოძალადეები სასამართლო პროცესზე ქალების წინააღმდეგ, იყენებენ „იურიდიულ ძალადობას“, რაც მოიცავს უსაფუძვლო საჩივრებს, პროცესების გაჭიანურებასა და ბავშვებზე ზემოქმედების ბერკეტად გამოყენებას (Douglas 2021). ეს სისტემური ჩავარდნები ლეგიტიმურობის ელფერს ანიჭებს მოძალადის ქმედებებს და კიდევ უფრო ართულებს ქალის და ბავშვების დაცვის პროცესს.

მნიშვნელოვანია იმ სტრატეგიების გააზრებაც, რომლებსაც ქალები დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყენებენ ძალადობრივი ურთიერთობის დასრულების შემდგომ. მიუხედავად იმის, რომ ქალები ხშირად მიმართავენ თავშესაფრებსა და სპეციალიზებულ სერვისებს, მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია ძალადობის სიმძიმეზე, მოძალადესთან ურთიერთობაზე და კულტურულ კონტექსტზე (Goodkind et al., 2004). ძალადობრივი ურთიერთობის დასრულების შემდგომ, ქალებისთვის პრობლემური ხდება ახალი საცხოვრებელი ადგილის მოპოვება და შენარჩუნება უსაფრთხოების, მუდმივი თვალთვალისა და იურიდიული სირთულეების გამო. იმ შემთხვევაში, როდესაც ქალს ჰყავს შვილები, მას უწევს არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ საკუთარი შვილების დაცვაც იმ პირობებში, სადაც ძალადობა არ სრულდება ურთიერთობის დასრულებით (Spearman et al., 2022). საბოლოოდ, კვლევები ადასტურებს, რომ განშორების შემდგომი ძალადობა, არ არის უბრალოდ წარსულის ნარჩენი. ეს არის ძალადობის ახალ ფაზაში გადასვლა, რომელიც განსხვავდება ფორმით, მაგრამ არა არსით. მოძალადე-

განქორწინების მიზეზები, ბარიერები და შედეგები ძალადობის მსხვერპლ ქალებში

ების ქმედებები კვლავ იმავე მიზანს ემსახურება – ძალაუფლების შენარჩუნებასა და კონტროლის გაგრძელებას. ქალების რეალური მდგომარეობის გაგება და მათ გამოცდილებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შექმნა არის ის საფუძველი, რომლის გარეშეც ძალადობის პრევენცია ვერ იქნება ეფექტიანი.

საჭიროა დამატებითი კვლევები, რომლებიც ხელს შეუწყობს ისეთ პოლიტიკასა და პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების უსაფრთხოებას ძალადობრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგ.

## **კვლევის მიზნები და მეთოდები**

კვლევის მიზანია სოციო-კულტურული და სტრუქტურული ფაქტორების ანალიზი, რაც (1) გავლენას ახდენს განქორწინების გადაწყვეტილებაზე ძალადობის მსხვერპლ ქალებში, (2) ქმნის ბარიერს განქორწინების პროცესში და (3) ზრდის ძალადობის საფრთხეს ურთიერთობების დასრულების შემდეგ.

კვლევის მიზნების მისაღწევად ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, რომელთაც ერთხელ მაინც მიუმართავთ ოფიციალური უწყებისადმი. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-მა პოლიტიკის დოკუმენტის შემქმნელმა, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე ჩართული ყოფილან გენდერული საკითხების პოლიტიკაში.

## **კვლევის ინსტრუმენტები**

კვლევითი მიზნების მისაღწევად შეიქმნა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს სახელმძღვანელო, რომელიც, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ძალადობის მსხვერპლი ქალების პირად გამოცდილებაზე, ძალადობრივი ურთიერთობის მახასიათებლებზე და იმ პროცესზე, რომელიც ამ ურთიერთობის დასრულებას უკავშირდება. პოლიტიკის დოკუმენტის შემქმნელების მხრიდან შეფასდა არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტები და მათი აღსრულების ხარისხი, რაც, ასევე, მჭიდროდ უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციას.

## **პროცედურა**

კვლევის მონაწილეების შერჩევის შემდგომ, ხდებოდა მათთან დაკავშირება ინდივიდუალურად და კვლევის შინაარსის ზოგადი გაცნობა, თანხმობის მიღების შემდგომ რესპონდენტისთვის სასურველ დროსა და ადგილზე ხდებოდა შეთანხმება ინტერვიუსთვის. ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 1 საათს, რესპონდენტებს ინტერვიუმდე წინასწარ მიენოებოდათ შესაბამისი თანხმობის ფორმა. მონაწილეთა თანხმობით გაკეთდა ინტერვიუს აუდიოჩანაწერი.

## **მონაცემთა დამუშავება**

ტექსტობრივი მონაცემები დამუშავდა პროგრამა ნვივოს საშუალებით, რომელიც სოციალურ მეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება ტექსტობრივი ინფორმაციის დამუშავებისას. მონაცემების დამუშავებისთვის ოთხეტაპიანი პროცესი ეყრდნობოდა რეფლექსურ თემატურ ანალიზს (Becker, 1992). პირველ რიგში, თითოეული ტრანსკრიპტი

მომზადდა სიღრმისეული ანალიზისთვის, რომელიც ფოკუსირებული იყო გამოცდილებაზე, ემოციებზე, სიტყვებზე, მნიშვნელობებზე, შედეგებზე და სუბიექტურ შეფასებებზე. კვლევის თეორიული ჩარჩოს მიხედვით, გამოიყო მოსალოდნელი თემები და მოინიშნა თითოეულ ტრანსკრიპტში. მეორე ეტაპზე დაჯგუფდა გამოყოფილი თემები ისე, რომ თემები არ ყოფილიყო ერთმანეთის გადამფარავი და შინაარსი თემების მიღმა ყოფილიყო უნიკალური. მესამე ეტაპზე დადგინდა დაჯგუფებულ თემებსა და კვლევაში გამოყოფილი თემებს შორის კავშირები, დაბოლოს, დაჯგუფებულ თემებს შორის კავშირები შედარდა კვლევის თეორიულ მოდელთან.

### **შედეგების ანალიზი**

კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ანალიზის ძირითადი ნაწილი ფოკუსირებული იყო ურთიერთობაში ძალადობის გამოვლენიდან მის დასრულებამდე პროცესსზე. თემატური ანალიზიდან ჩანს, რომ პროცესის წარმოდგენა რამდენიმე ძირითად ეტაპადაა შესაძლებელი, რომლებიც, თავის მხრივ, მათთვის დამახასიათებელი პროცესები თაა აღწერილი. ესენია:

1. განქორწინების მიზეზები

– ძალადობის გამოვლენა და მისი ფორმები – მაკონტროლებელი ქცევიდან ფიზიკურ ძალადობამდე.

2. განქორწინების/ურთიერთობის დასრულების ბარიერები

– მსხვერპლის თვითიდენტიფიკაციის პროცესი;

– დუმილი – სირცხვილის და დანაშაულის განცდა, ამასთან ერთად უიმედობა და მოსალოდნელი საფრთხის შიში;

– პასუხი ძალადობაზე – დახმარების ძიება, სამართალდამცავების ჩართვა პროცესში, ფსიქოლოგიური დახმარება და ა.შ.

3. განქორწინების/ურთიერთობის დასრულების შედეგები ძალადობის მსხვერპლ ქალებში

– ურთიერთობის დასასრული, რომელსაც შედეგად მოჰყვება სოციალური იზოლაცია, სტიგმა და მუდმივი/მაკონტროლებელი საფრთხის შეგრძნება ყოფილი პარტნიორისგან.

### ***განქორწინების/ურთიერთობის დასრულების მიზეზები: მაკონტროლებელი ქცევიდან ფიზიკურ ძალადობამდე***

კვლევაში მონაწილე ძალადობის მსხვერპლი ქალების უმეტესობა საუბრობს ძალადობის საწყის ეტაპზე და იხსენებს, რომ ძალადობა თითქმის ყოველთვის იწყება მაკონტროლებელი ქცევებიდან და თანდათანობით გარდაიქმნება ისეთ ფორმებად, რომელსაც ქალი ფიზიკურ საფრთხემდე მიჰყავს. ასევე, ხშირია პარტნიორის მხრიდან პირდაპირ დაწესებული შეზღუდვები სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ნაწილში, რითიც ახდენენ ქალების იზოლაციას გარესამყაროსგან და უსპობენ სოციალური მხარდაჭერის შესაძლებლობას. თვითიზოლაცია, ასევე, შედეგია იმ ფსიქოლოგიური მდგომარეობის, რომელშიც ქალები ძალადობის შედეგად აღმოჩნდებიან. ეროვნული კვლევის თანახმად, მაკონტროლებელი ქცევა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ძა-

ლადობის ფორმაა, რაც, დიდწილად, ნორმალიზებულია საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული ნორმების ჩარჩოებში (საქსტატი, გაეროს ქალთა განვითარების ფონდი, 2023).

კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ეკონომიკური კონტროლის დამყარებაა, რაც სცდება მხოლოდ ფინანსურ დამოკიდებულებებს, ის გავლენას ახდენს სოციალურ ნორმებზე და გენდერულ როლებთან დაკავშირებულ წარმოდგენებზეც, რაშიც ხშირად კაცების დომინანტობა იგულისხმება. ეკონომიკური ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, არ ითვლება ძალადობის გამოვლინებად იქამდე, სანამ ძალადობა უფრო მძიმე ფორმებს არ მიიღებს, შესაბამისად, მსხვერპლისთვის რთული ხდება იმ ნიშნების ამოცნობა, რომლებიც ურთიერთობის ძალადობრივ ხასიათზე მიუთითებენ (Adams et al., 2008). ამასთან ერთად, ეკონომიკური სახის ძალადობა ამზადებს ნიადაგს სხვა ტიპის ძალადობებისთვის, რადგან მეორე ადამიანზე კონტროლის დამყარების ყველაზე მძლავრი იარაღია (Grigaité et al., 2019). კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ურთიერთობის დროს ისინი ფინანსურად პარტნიორებზე იყვნენ დამოკიდებულნი, თუმცა ამას ვერ აღიქვამდნენ როგორც ძალადობას. ამის გაანალიზება მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძალადობამ მძიმე ფორმები მიიღო. ერთ-ერთი კვლევის მონაწილე იხსენებს:

*„ძალიან მწარე გამოცდილება იყო ეს ჩემთვის, როცა ზამთრის პერიოდი იყო და აი კოლგოტი, როცა გამეხეოდა ამას ვკერავდი, .... როცა ვეუბნებოდი მეუღლეს, ყოფილ მეუღლეს რო თანხა მჭირდება, რომ კოლგოტი ვიყიდო ძალიან მაყვედრიდა, რო რა ვერ ჩაიცივი ნორმალურად და ასე შემდეგ, ეს მაშინ იყო ძალიან ბუნებრივი ჩემთვის, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ფაქტიურად რას მაყვედრიდა – სამლარიან კოლგოტს“ (IDI1, ძალადობის მსხვერპლი ქალი).*

ისეთი ტიპის საზოგადოებებში, სადაც კაცები ავტორიტეტულ ფიგურებად არიან წარმოჩენილი და სადაც ქალების როლი მკაცრად შემოსაზღვრულია ოჯახზე მზრუნველობით და ბავშვის აღზრდით, პარტნიორული ურთიერთობები მკვეთრად არის გადახრილი მამაკაცების მხრიდან კონტროლის და მფლობელობისკენ (González & Rodríguez-Planas, 2020; Heise & Kotsadam, 2015). ეს დისბალანსი ურთიერთობებში ხშირად გამოხატულია იმაში, რომ ქალი წარმოადგენს ოჯახის ღირსებას და ოჯახის მამაკაც წევრებს აქვთ მათზე „კუთვნილება“, იქამდე სანამ ეს უფლებები პარტნიორს/ქმარს არ გადაეცემა.

მორჩილების ქცევა და თვისება ქალებში ღირებულებას წარმოადგენს რელიგიურ და კულტურულ რწმენებში, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ საკითხს და ხელს უწყობს ძალადობის ნორმალიზებას საზოგადოებაში (González & Rodríguez-Planas, 2020; Saunders et al., 2023). შესაბამისად, ქალების უმრავლესობას უჭირს მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება ძალადობის მსხვერპლთან. ძალადობის მხოლოდ ყველაზე მძიმე ან ფიზიკური ფორმებია აღიარებული მიუღებლად, ხოლო სხვა სახის ძალადობა მინიმუმამდეა დაყვანილი ან შეუმჩნეველია. ეს კულტურული ნორმალიზაცია არა მხოლოდ აფერხებს ქალებს ითხოვონ დახმარება, არამედ აგრძელებს ძალადობის ციკლს, რომლის გარღვევაც ძნელია. საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას ქალები

აღნიშნავენ, რომ მათთვის რთული იყო იმის გააზრება, რომ ის რაც ხდებოდა იყო არასწორი და რეალურად ისინი ძალადობის ქვეშ ცხოვრობდნენ:

*„გააზრება ცოტა რთულად მოვიდა იმის, რომ ეს არის ძალადობა. ნუ პრინციპში, რალაცა დეტალურად იცი ძალადობის შესახებ, მაგრამ საკუთარი თავის მსხვერპლად იდენტიფიკაციისთვის საკმაოდ დიდი გზა უნდა გაიაროს ადამიანი და ჩემთვის ეს გზა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე, მაგალითად, სხვისთვის“ [IDI2, ძალადობის მსხვერპლი ქალი].*

გენდერული ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის შედეგები აჩვენებს მოსახლეობაში გავრცელებულ წარმოდგენებს გენდერული ნორმებისა და დამოკიდებულებების შესახებ. გამოკითხული ქალების თითქმის 60% თვლის, რომ მათი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ოჯახზე ზრუნვაა, რაც საზოგადოებაში ტრადიციული გენდერული როლების ძლიერ აქცენტებზე მიუთითებს. ეს მაჩვენებელი კაცებთან კიდევ უფრო გამოხატულია (74.7%). გარდა ამისა, ქალების 20.2% და კაცების მესამედზე მეტი ფიქრობს, რომ ცოლი უნდა ეთანხმებოდეს ან ემორჩილებოდეს ქმრის აზრს, მაშინაც კი, თუ ის პირადად არ ეთანხმება მას. ეს მიუთითებს ოჯახურ ურთიერთობებში აღქმულ იერარქიაზე, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ქმრის შეხედულებას. ამასთან, ქალების ნახევარზე მეტი (55.1%) და კაცების უმრავლესობა (77.6%) ეთანხმება იმ აზრს, რომ მამაკაცები უნდა აკონტროლებდნენ და ხელმძღვანელობდნენ ოჯახს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ტრადიციულ გენდერულ დინამიკას (საქსტატი და გაეროს ქალთა განვითარების ფონდი, 2023).

ეს რეალობა ნათლად ჩანს კვლევის მონაწილეთა ისტორიებში, სადაც აღნიშნავენ, რომ არა მხოლოდ მათი პარტნიორები და საზოგადოება მათ გარშემო, არამედ თავად ისინიც კი „ნებაყოფლობით“ იცავდნენ დადგენილ გენდერულ როლებს, რამაც საბოლოოდ ძალადობა გამოიწვია:

*„ბევრი უარყოფითი თვისება ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თანასწორობის უგულვებლყოფა. როგორც აღვნიშნე, მისი აზრით, ქალი იყო მხოლოდ ბავშვის აღმზრდელი და ქალებისთვის დანესებული ყველა ტრადიციული როლი უნდა შეესრულებინა. ეს ნიშნავდა არა სამუშაოს, მეგობრებს, ურთიერთობებს და, არსებითად, სოციალურ ცხოვრებას ამ საზღვრებს მიღმა“ [IDI4, ძალადობის მსხვერპლი ქალი].*

### **განქორწინების/ ურთიერთობის დასრულების ბარიერები**

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავის, როგორც ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ურთიერთობის დასასრულისკენ პირველი ნაბიჯია, ქალების დიდი ნაწილი ამ საკითხზე დუმილს ინარჩუნებს. როგორც გლობალურად, აგრეთვე საქართველოს შემთხვევაშიც, ბევრი ქალი არ საუბრობს ძალადობის შემთხვევებზე, რაც რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული (Pokharel et al., 2020).

ძალადობის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ქალები განიცდიან, დახურულ კარს მიღმა ხდება მათი ინტიმური პარტნიორების, ოჯახის წევრებისა თუ იმ კაცების მიერ, რომლებსაც ისინი იცნობენ. გარდა ამისა, ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს

ხშირად არ სურთ ან ეშინიათ ძალადობის ამგვარი შემთხვევების შეტყობინება, მათი მოძალადის (მოძალადეების) ან/და ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების უარყოფითი რეაქციების შიშის გამო. მეტიც, ქალებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობაზე ხმამაღლა საუბრობენ ან დახმარებას ეძებენ, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობის დროს, ხშირ შემთხვევაში თავად ადანაშაულებენ საკუთარ ვიქტიმიზაციაში (Garcia-Moreno, et. Al., 2005). სწორედ ამ მიზეზების გამო, ქალები, როგორც წესი, არ ამხელენ ძალადობის ისტორიას (UN Women, 2016).

მსხვერპლთა უმეტესობა არჩევს ჩუმად ყოფნას, სიტუაციის მოსალოდნელი გართულების და ნეგატიური რეაქციების გამო, განსაკუთრებით მისი მამაკაცი ოჯახის წევრებისგან. ამასთან ერთად, ზენოლას ახდენს სოციალური და კულტურული ნორმები, რის მიხედვითაც ოჯახში ძალადობა და მასზე საუბარი მიუღებლად და სამარცხვინოდ არის მიჩნეული. ეს ტენდენცია კარგად ჩანს გენდერულ ძალადობაზე ჩატარებულ ეროვნულ კვლევაში, სადაც ნაჩვენებია, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების იმ მცირე ნაწილიდან, რომელიც საუბრობს ძალადობაზე, მხოლოდ 14% ფიქრობს, რომ შეუძლია ეს ინფორმაცია გაუზიაროს მისი ოჯახის მამაკაც წევრს (UN women, 2023). ქალები სიჩუმეს ინარჩუნებენ იმ მიზეზიდან გამომდინარეც, რომ ხშირია მსხვერპლის დადანაშაულება, საკუთარი ოჯახის წევრების მხრიდანაც კი. ეს პასუხი ძალადობაზე მხოლოდ აუარესებს მსხვერპლის მდგომარეობას და მას კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში აქცევს გარე სამყაროსგან.

*„როდესაც მამაჩემმა გაიგო როგორ იქცეოდა ეს ადამიანი, მაშინ როდესაც მე ორსულად ვიყავი, 2 თვე არ მელაპარაკებოდა“ (IDI, ძალადობის მსხვერპლი ქალი).*

ძალადობის ფსიქოლოგიური შედეგები დაკავშირებულია ისეთ მენტალურ ჯანმრთელობის პრობლემებთან, რაც კიდევ ერთხელ ხელს უწყობს განმეორებად ვიქტიმიზაციას (J. C. Campbell, 2002; Coker et al., 2002; Ogbé et al., 2020; Roberts et al., 1998). მსხვერპლთა უმეტესობა საუბრობს საკუთარი თავის დადანაშაულებაზე, მათ შორის ძალადობის პროცესში, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის დახმარების ძიების ქცევას და ტოვებს მსხვერპლს ძალადობრივ ურთიერთობაში (Wessells & Kostelny, 2022).

ძალადობისადმი მორჩილება ყალიბდება გარშემომყოფთა დამოკიდებულების რეფლექტურად. ქალთა პასუხები ფორმირდება თავიანთ ინდივიდუალურ და გარშემომყოფთა შეხედულებებზე დაყრდნობით. ის ქალები, რომლებიც ძალადობას დასაშვებად მიიჩნევენ, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ თავიანთ თავს დადანაშაულებენ თავდასხმაში, ნაკლებად მიმართავენ სამართლებრივ ორგანოებს ან შეატყობინებენ პოლიციას ძალადობის ფაქტის შესახებ, რაც იწვევს გრძელვადიან ფსიქოლოგიურ-ემოციურ აფექტებს (J. C. Campbell, 2002; Ellsberg et al., 2008; Liang et al., 2005). მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, ის ქალები, რომლებსაც აქვთ ოჯახში ძალადობის გამოცდილება, დასწავლილი უმწეობის ჩამოყალიბების უფრო მაღალი რისკის ქვეშ დგანან, მათ მიერ გამოცდილი ძალადობის ქრონიკული და ტრავმული ფორმის გამო (Asadi et al., 2018; O. L. K. Campbell & Mace, 2022; Güler et al., 2022). მუდმივმა ძალადობამ ოჯახში შესაძლოა გამოიწვიოს, ასევე, დანაშაულის განცდა, სირცხვილი და დაბალი თვითშეფასება, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური პრობლემების გაძლიერებას

(Ellsberg et al., 2008; Güler et al., 2022; Meyer, 2016). პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლების ინტერვიუებიდან ასევე გამოჩნდა, რომ მათ ანუხებდათ სირცხვილის გრძნობა იმის გამო, რომ ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა ძალადობის შემცველი ურთიერთობიდან. შედეგად, ზოგიერთმა საკუთარ თავზე ზრუნვაკი შეწყვიტა. ძალადობრივი ურთიერთობის მიტოვების შემდეგაც კი, ზოგიერთი ქალი აღწერს, როგორ უჭირდა დიდი ხნის განმავლობაში საკუთარ თავთან ჰარმონიის პოვნა და სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022).

### **განქორწინების/ურთიერთობის დასრულების შედეგები**

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ მიერ განცდილი ძალადობა გრძელვადიან უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც მათ საერთო კეთილდღეობაზე. ძალადობის მსხვერპლი ქალების უმეტესობა საუბრობს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სხვადასხვა სიმპტომზე და, ზოგჯერ, დანაშაულის და სირცხვილის ძლიერ გრძნობაზე იმის გამო, რომ მათ მოძალადე მეუღლეს/პარტნიორს ნაუყენეს კანონიერი ბრალდება ან/ და ციხეში გაგზავნეს (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022).

თუმცა ძალადობა არ მთავრდება ხმის ამოდების და დახმარების თხოვნის შემდეგ. რესპონდენტებს შორის განმეორებადი თემაა სამართალდამცავი ორგანოების და სხვა სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სათანადო მოპყრობისა და დახმარების არარსებობა. მსხვერპლები ხშირად აწყდებიან გულგრილობას და ემპათიის ნაკლებობას პოლიციელების, ადვოკატების, პროკურორების, მოსამართლეების და სხვა საჯარო პირების მხრიდან. ეს არაადეკვატური პასუხი არა მხოლოდ ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა საჭირო დახმარებას, არამედ ხელს უწყობს უფრო ფართო უნდობლობის გრძნობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. მიუხედავად საჯარო განცხადებებისა, რომ გენდერული ძალადობა პრიორიტეტული საკითხია, სახელმწიფო მოხელეების დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და განცხადებები კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას, რაც იწვევს მოძალადეების მიმართ ლმობიერ სასამართლო მიდგომას. ეს აშკარაა პოლიტიკის შემქმნელების ნარატივიდან:

*„ბოლო სამი წლის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო არ ექცევა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობას იმ სერიოზულობით, რასაც იმსახურებს. ეს დამოკიდებულება, როგორც ჩანს, შედეგია პასიური პოლიტიკის ან მათ მიერ გაკეთებული განცხადებების, რომლებიც ხშირად დისკრიმინაციული და ზოგჯერ დატვირთულია გენდერული სტერეოტიპებით“ [IDI1, პოლიტიკის შემქმნელი].*

მსხვერპლთა ჩვენებები ხაზს უსვამს არა მხოლოდ განცდილ პიროვნულ ტრავმას, არამედ სისტემურ ხარვეზებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობისა და დაუსჯელობის ციკლის გაგრძელებას. მაგალითად, რესპონდენტები საუბრობენ პროკურორების მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა დამნაშავეთა სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას. ასეთი

განქორწინების მიზეზები, ბარიერები და შედეგები ძალადობის მსხვერპლ ქალებში

პრაქტიკა არა მხოლოდ ხელს უწყობს მოძალადეებს, არამედ ხელს უშლის მსხვერპლს დახმარების ძიებისგან.

*„ჩვენს ქვეყანაში არავინ არის დაცული. მითხრეს თქვენ ოფიციალურად მსხვერპლი ხართ და პროკურორმა უნდა დაგიცვათ. თუმცა პროკურორმა დამირეკა და მირჩია, თუ დაჟინებით მოვითხოვდი მის პატიმრობას, ჩემი შვილები გაიგებდნენ, რაც უფრო დიდ ზარალს მომიტანდა. არსებითად, ის ყოველმხრივ ახდენდა ჩემზე ფსიქოლოგიურ ზენოლას, რათა მეიძულებინა, უარი მეთქვა მის პატიმრობაზე“ (ID17, ძალადობის მსხვერპლი ქალი).*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, შექმნილი და არსებული რესურსები, ძირითადად, არაეფექტურად ან საერთოდ არ მუშაობს. კვლევაში მონაწილე პოლიტიკის დოკუმენტის შემქმნელები აღნიშნავენ, რომ საკითხი მრავალმხრივია: უპირველესი არის თავშესაფრების დეფიციტი, რაც ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს მათთვის, ვისაც არ აქვს მოძალადისგან წასასვლელი.

*„ქალები ხშირად თავს იკავებენ ურთიერთობის დასასრულისგან, რადგან მათ ნამდვილად არ აქვთ წასასვლელი. მიუხედავად იმისა, რომ არის ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ დროებით თავშესაფარს როგორც მშობლებს, ასევე შვილებს. ამ სერვისების შესახებ ინფორმირებულობა და მათი რაოდენობა არასაკმარისია“ [ID13, პოლიტიკის დოკუმენტის შემქმნელი].*

ძალადობის მსხვერპლად თვითიდეტიფიკაცია, დახმარების თხოვნა და ადეკვატური მხარდაჭერის მიღება სოციალური გარემოსგან (ერთი მხრივ, სოციალური მხარდაჭერის, მეორე მხრივ, სახელმწიფო რესურსების ეფექტურად გამოყენების) ის აუცილებელი და გარდაუვალი გზაა, რომელსაც ძალადობის მსხვერპლი ქალი გადის ურთიერთობის დასასრულებლად, თუმცა შესაძლებელია, რომ ძალადობის აღმოსაფხვრელად ეს საკმარისი არ იყოს. განშორება საზოგადოებებში, სადაც გენდერული როლების მკაფიო განსაზღვრება არსებობს და სადაც კაცი დომინანტურია, არ ნიშნავს კაცების „მფლობელობის“ დასასრულს ქალებზე. რიგ შემთხვევებში, პირიქით, განშორება კიდევ უფრო ამძაფრებს კუთვნილების განცდას მეორე ადამიანის მიმართ. ნაჩვენებია, რომ როდესაც ქალები განქორწინებას ითხოვენ, კაცები მიიჩნევენ, რომ ეს მათ ღირსებაზე ცუდად იმოქმედებს და ცდილობენ ღირსების დაცვას, რის გადასარჩენადაც ისინი კლავენ პარტნიორებს (Novin et al., 2015). მამაკაცები, რომლებიც ძალადობენ, ამას აკეთებენ იმიტომ, რომ გრძნობენ, რომ ვიღაც მათ მამაკაცურ იდენტობის გრძნობას დაუპირისპირდა (Walker & Gill, 2019). საზოგადოებაში, სადაც ოჯახის ღირსება ქალის მორჩილებაზე გადის, მიღებულია ამ ღირსების აღსადგენად ისეთი ხერხების გამოყენება, რომელიც საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას.

ვითარებას მნიშვნელოვნად აუარესებს მანიპულირებისა და მსხვერპლის დადანაშაულების ფართო წრე, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ოჯახის ახლო წევრებს და მეგობრებს, არამედ საზოგადოების წევრებსაც ((Bermek et al., n.d.; Gracia, 2014). ეს პროცესი ემსახურება მსხვერპლის შემდგომ იზოლირებას, ანადგურებს მათ თვითშეფასებას და ხელს უწყობს უმწიბრობისა და დამოკიდებულების ღრმა განცდას (Gracia,

2014; Meyer, 2016). მსხვერპლთა დადანაშაულება, სადაც მსხვერპლს ეკისრება პასუხისმგებლობა ძალადობაზე, ოჯახის დანგრევაზე, აძლიერებს სოციალურ ნორმებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ოჯახის ერთიანობას და უგულბებლყოფენ ინდივიდუალურ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ეს ლეგიტიმაციას უკეთებს და ხელს უწყობს ძალადობის ციკლს, რაც მსხვერპლთათვის უფრო რთულს ხდის მოძალადეების წინააღმდეგ წავიდეს ან მხარდაჭერა ეძიოს გარემოსგან. კვლევის მონაწილეებმა კონკრეტულად გაიხსენეს მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია დადანაშაულების კულტურასთან:

*„სამწუხაროდ, ჩემი მეგობარი, ერთი ათი თორმეტწლიანი ურთიერთობა გვექონდა და როცა ეს ფაქტი მოხდა და გაჟღერდა, ესეთი კომენტარი გაკეთდა – კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს. ალბათ ღირსი იყო და მოხვდა, ღირსია და ცხოვრობს თავმესაფარში“ [ID11, ძალადობის მსხვერპლი ქალი].*

ეს შედეგები ეხმიანება რაოდენობრივ კვლევას, რომლის მიხედვითაც, ქალებისა და მამაკაცების 8%-ზე მეტი ფიქრობს, რომ თუ ქალს ქმარი სცემს, ის ნაწილობრივ დამნაშავეა ან დამნაშავეა (ეს მონაცემი გაცილებით მაღალია ხანდაზმულ ასაკობრივ ჯგუფებში და სოფლად) (საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022).


## შეჯამება

კვლევა მიზნად ისახავდა სოციო-კულტურული და სტრუქტურული ფაქტორების ანალიზს, რაც გავლენას ახდენს განქორწინების გადაწყვეტილებაზე ძალადობის მსხვერპლ ქალებში, აგრეთვე, ქმნის ბარიერს განქორწინების პროცესში და ზრდის ძალადობის საფრთხეს ურთიერთობების დასრულების შემდეგ.

ინტერვიუების ანალიზი ნათლად უჩვენებს, რომ განქორწინების შემდგომ აგრესიული ქცევა ყოფილი პარტნიორების მხრიდან მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის ქალების პოსტგანქორწინების პერიოდში. ეს პროცესი რამდენიმე ლოგიკურად დაკავშირებული ეტაპისგან შედგება, რომელიც წარმოადგენილია დიაგრამის სახით.

წარმოდგენილი დიაგრამა აჩვენებს, ძალადობის საწყისი ფორმების გამოვლენიდან ურთიერთობის დასასრულამდე პროცესს, რაც საზოგადოებისთვის შეუმჩნეველად გამოხატული ძალადობის ფორმებით იწყება. ძირითადად, ესაა პარტნიორის მაკონტროლებელი ქცევები, ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც ღრმად არის საზოგადოებრივ გენდერულ ნორმებში გამჯდარი და ართულებს მსხვერპლის თვითიდენტიფიკაციის პროცესს, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ ძალადობის ფიზიკური ფორმების გამოხატვის შემდეგ იწყება. თუმცა, თვითიდენტიფიკაცია არ არის საკმარისი პირობა ურთიერთობის დასრულებისთვის, რადგან მსხვერპლთა უმეტესობა დუმის არჩევს საზოგადოებისგან დადანაშაულების, სირცხვილის და მოსალოდნელი აგრესიის გამო. ამ სირთულეების გადალახვის შემდეგაც ჩნდება ინსტიტუციური ბარიერები, რაც არასაკმარის და არაეფექტურ დამხმარე რესურსებში გამოიხატება. ურთიერთობის დასრულების შემდეგ კი ქალი რჩება საზოგადოებისგან იზოლირებული და პარტნიორის მხრიდან მომატებული საფრთხის განცდით, რის პრევენციასაც ინსტიტუციური მექანიზმები და საზოგადოებრივი ნორმები ვერ ახდენენ.

### დიაგრამა 1. ურთიერთობის დასრულების ციკლი



გენდერული ძალადობა და მისი ლეტალური გამოვლინება, ფემიციდი, საქართველოში სერიოზული და აქტუალური საკითხია. მიუხედავად ბოლო ათწლეულების მანძილზე მიღწეული პროგრესისა, გენდერული ძალადობის პრევენცია და ეფექტური სამართლებრივი აღსრულება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება. სტატისტიკა მიუთითებს, რომ ქალები ხშირად არიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლები მათი პარტნიორებისა და ყოფილი პარტნიორების მხრიდან.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გენდერული ძალადობის პრევენცია საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც სოციო-კულტურული, ასევე სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას.

### რეკომენდაციები

მოცემული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს სახელმწიფო დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

პირველი გამოწვევა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა არის კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები. საქართველოში მოქმედი სამართლებრივი სისტემა მოიცავს როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელთა მიზანია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის პრევენცია. გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი (2020), ქალთა და ოჯახში ძალადობის პრევენციის კანონი (2017) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს IPV-ს დასაძლევად. თუმცა, ამ კანონმდებლობის რეალური გამოწვევა მისი ეფექტიანად აღსრულებაა – განსაკუთრებით უწყებათაშორისი თანამშრომლობის, სამართალდამცავთა ქმედებებისა და საზოგადოების აღქმის თვალსაზრისით. ეფექტური რეაგირებისთვის საჭიროა მკაფიო პოლიტიკის რუკა, რომელიც გულისხმობს ჩარევას ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და საზოგადოებრივ დონეებზე.

შემდეგ, კვლევა აჩვენებს, რომ ქალები, რომლებიც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი არიან, ხშირად ვერ ცნობენ ძალადობრივ ქცევებს და არ იციან, სად შეიძლება დახმარების მიღება. შედეგად, არსებული მომსახურებები, მიუხედავად მათი ხელმისაწვდომობისა, პრაქტიკაში ხშირად არ გამოიყენება. მსხვერ-

პლთა უმრავლესობა ან არ ფლობს ინფორმაციას, ან არ თვლის საკუთარ თავს დახმარების ღირსად. ინდივიდუალურ დონეზე ჩარევა უნდა ორიენტირდეს ორ მთავარ საკითხზე: (1) ცნობიერების ამაღლება – მსხვერპლმა უნდა იცოდეს, რომ დახმარება არსებობს და მასზე წვდომა რეალურია; (2) ძალადობის ცნობიერად აღქმა – აუცილებელია ქალებმა გააცნობიერონ, რომ ის რაც მათ ემართებათ არის ძალადობა და მათ აქვთ უფლება მოითხოვონ დახმარება. გამოსავალი შეიძლება იყოს ლოკალური საინფორმაციო კამპანიები, ციფრული პლატფორმები ანონიმური კონსულტაციისთვის და თერაპიული სერვისები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.

აგრეთვე, ქალთა ეკონომიკური დამოკიდებულება, ფსიქოემოციური სტრესი და ავტონომიის შეზღუდვა ხშირად აფერხებს ძალადობრივი ურთიერთობიდან წასვლის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მუნიციპალიტეტი გარკვეული ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს გადარჩენილ ქალებს, ქვეყანაში არ არსებობს მასშტაბური საცხოვრებლის ან შემოსავლის მხარდაჭერის სისტემა, რის გამოც ბევრი ქალი სიღარიბისა და უსახლკარობის საფრთხის წინაშე დგება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განქორწინების ბარიერები, ძირითადად, კულტურულ ნორმებს უკავშირდება – პატრიარქალური ღირებულებები, ტრადიციული გენდერული როლები, მსხვერპლის დადანაშაულება და რელიგიური სწავლებები ხშირად ქალის მოთმინებასა და მორჩილებას ამაღლებენ სათნოების დონემდე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად მონაწილეობს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიებში და ეროვნული სასწავლო პროგრამა მოიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებს, სოციალური ნორმების სიღრმისეულმა ცვლილებამ ჯერ არ მიაღწია არსებით გარდატეხას. ამიტომ, საჭიროა ორი მიმართულებით განხორციელებული საგანმანათლებლო კამპანია – ერთი მხრივ, ქალთა გაძლიერება და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ, პოზიტიური მამრობისა და არაძალადობრივი ქცევის პოპულარიზაცია.

## ფინანსური მხარდაჭერა

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო-ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი: NFR-22-56-16; სახელწოდება: ფემიციდი, გენდერი და ძალადობა: სისტემატური მიდგომა)“

## გამოყენებული ლიტერატურა

ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში 2020. Ombudsman.Ge. Retrieved July 30, 2025, from <http://ombudsman.ge/geo/201117012751angarishebi/femitsidis-monitoringis-angarishi-2020>

Abramsky, T., Watts, C. H., Garcia-Moreno, C., Devries, K., Kiss, L., Ellsberg, M., Jansen, H. A., & Heise, L. (2011). What factors are associated with recent intimate partner violence? Findings from the WHO multi-country study on women's health and domestic violence. *BMC Public Health*, 11(1), 109. <https://doi.org/10.1186/1471-2458-11-109>

Adams, A. E., Sullivan, C. M., Bybee, D., & Greeson, M. R. (2008). Development of the

- Scale of Economic Abuse. *Violence Against Women*, 14(5), 563–588. <https://doi.org/10.1177/1077801208315529>
- Alhalal, E., Ford-Gilboe, M., Wong, C., & AlBuhairan, F. (2012). Factors associated with returning to abusive relationships in Saudi Arabian women. *Health Care for Women International*, 33(12), 1114–1132.
- Asadi, S., Mohammad-Alizadeh-Charandabi, S., Yavarikia, P., & Mirghafourvand, M. (2018). Socio-Demographic Predictors of Intimate Partner Violence in a Population Sample of Iranian Women. *Shiraz E-Medical Journal* (In Press). <https://doi.org/10.5812/semj.69735>
- Baker, C. K., Billhardt, K. A., Warren, J., Rollins, C., & Glass, N. E. (2003). Domestic violence, housing instability, and homelessness: A review of housing policies and program practices for meeting the needs of survivors. *Aggression and Violent Behavior*, 15(6), 430–439.
- Benson, M. L., & Fox, G. L. (2002). *Economic Distress, Community Context, and Intimate Violence in the United States, 1988 and 1994*. [distributor].
- Bermek, S., Matakos, K., & Unan, A. (n.d.). Victim-blaming Norms and Violence Against Women: Correcting Misperceptions or Morality Drive Policy and Behavior Change?
- Brownridge, D. A., Chan, K. L., Hiebert-Murphy, D., Ristock, J., Tiwari, A., & Leung, W. C. (2008). The elevated risk for non-lethal post-separation violence in Canada. *Journal of Interpersonal Violence*, 23(1), 117–135.
- Bruton, S., & Tyson, G. (2018). Living with the threat of violence: Women's psychological negotiations in the context of separation. *Journal of Gender Studies*, 27(1), 70–83.
- Campbell, J. C. (2002). Health consequences of intimate partner violence. *The Lancet*, 359(9314), 1331–1336. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(02\)08336-8](https://doi.org/10.1016/S0140-6736(02)08336-8)
- Campbell, O. L. K., & Mace, R. (2022). Different predictors of intimate partner and natal family violence against women. *Evolution, Medicine, and Public Health*, 10(1), 231–242. <https://doi.org/10.1093/emph/eoac019>
- Campo, M., Kaspiew, R., Moore, S., & Tayton, S. (2020). Children's exposure to domestic and family violence: Key issues and responses. *Australian Institute of Family Studies*.
- Coker, A. L., Davis, K. E., Arias, I., Desai, S., Sanderson, M., Brandt, H. M., & Smith, P. H. (2002). Physical and mental health effects of intimate partner violence for men and women. *American Journal of Preventive Medicine*, 23(4), 260–268. [https://doi.org/10.1016/S0749-3797\(02\)00514-7](https://doi.org/10.1016/S0749-3797(02)00514-7)
- Corradi, C., Marcuello-Servós, C., Boira, S., & Weil, S. (2016). Theories of femicide and their significance for social research. *Current Sociology*, 64(7), 975–995. <https://doi.org/10.1177/0011392115622256>
- Crosse, C., & Millar, M. (2017). Coercive control and the legal system: Inequality and institutional response. *Women's Studies International Forum*, 60, 1–8.
- DeKeseredy, W. S., Dragiewicz, M., & Schwartz, M. D. (2018). Separation/divorce sexual assault: The missing piece of the gender symmetry debate. *Violence Against Women*, 24(12), 1421–1440.
- Douglas, H. (2021). Legal systems abuse and coercive control. *Criminology & Criminal Justice*, 21(1), 41–58.

- Ellis, D. (1990). Marital status and abuse among Canadian women. *Violence and Victims*, 5(2), 83–96.
- Ellsberg, M., Jansen, H. A. F. M., Heise, L., Watts, C. H., & Garcia-Moreno, C. (2008). Intimate partner violence and women's physical and mental health in the WHO multi-country study on women's health and domestic violence: An observational study. *Lancet* (London, England), 371(9619), 1165–1172. [https://doi.org/10.1016/S0140-6736\(08\)60522-X](https://doi.org/10.1016/S0140-6736(08)60522-X)
- Geostat (National Statistics Office of Georgia) and UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women) (2017). National Study on Violence against Women in Georgia. Tbilisi: UN Women. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/National%20study%20on%20viole>
- Geostat (National Statistics Office of Georgia) and UN Women (United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women) (2023). National Study on Violence against Women in Georgia. Tbilisi: UN Women. [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated\\_vaw\\_eng\\_we\\_b4-2.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_eng_we_b4-2.pdf)
- González, L., & Rodríguez-Planas, N. (2020). Gender norms and intimate partner violence. *Journal of Economic Behavior & Organization*, 178, 223–248. <https://doi.org/10.1016/j.jebo.2020.07.024>
- Goodkind, J. R., Sullivan, C. M., & Bybee, D. I. (2004). A contextual analysis of battered women's safety planning. *Violence Against Women*, 10(5), 514–533.
- Government of Georgia. (2010). Law of Georgia on Gender Equality.
- Government of Georgia. (2017). Law of Georgia on violence against women and/or elimination of domestic violence, protection and support of victims of violence. Official Gazette of Georgia.
- Gracia, E. (2014). Intimate partner violence against women and victim-blaming attitudes among Europeans. *Bulletin of the World Health Organization*, 92(5), 380–381. <https://doi.org/10.2471/BLT.13.131391>
- Grigaitė, U., Karalius, M., & Jankauskaitė, M. (2019). Between experience and social 'norms', identification and compliance: Economic and sexual intimate partner violence against women in Lithuania. *Journal of Gender-Based Violence*, 3(3), 303–321. <https://doi.org/10.1332/239868019X15623411271876>
- Güler, A., Bankston, K., & Smith, C. R. (2022). Self-esteem in the context of intimate partner violence: A concept analysis. *Nursing Forum*, 57(6), 1484–1490. <https://doi.org/10.1111/nuf.12798>
- Hardesty, J. L. (2002). Separation assault: A study of post-divorce abuse. *Violence Against Women*, 8(5), 597–625.
- Hardesty, J. L., & Chung, G. H. (2006). Intimate partner violence, parental divorce, and child custody. *Family Relations*, 55(4), 390–400.
- Heise, L. L., & Kotsadam, A. (2015). Cross-national and multilevel correlates of partner violence: An analysis of data from population-based surveys. *The Lancet Global Health*, 3(6), e332–e340. [https://doi.org/10.1016/S2214-109X\(15\)00013-3](https://doi.org/10.1016/S2214-109X(15)00013-3)
- Hulley J, Bailey L, Kirkman G, Gibbs GR, Gomersall T, Latif A, Jones A. Intimate Partner Violence and Barriers to Help-Seeking Among Black, Asian, Minority Ethnic and Im-

- migrant Women: A Qualitative Metasynthesis of Global Research. *Trauma Violence Abuse*. 2023 Apr;24(2):1001-1015. doi: 10.1177/15248380211050590. Epub 2022 Feb 2. PMID: 35107333; PMCID: PMC10012394.
- Humphreys, C., & Thiara, R. (2003). Mental health and domestic violence: 'I call it symptoms of abuse.' *The British Journal of Social Work*, 33(2), 209–226.
- Ignjatović, T. (2019). Post-separation abuse: Reframing narratives of survival. *Australian and New Zealand Journal of Family Therapy*, 40(3), 390–404.
- Krella, D., Martinez, P., & James, M. (2025). Digital safety planning: Enhancing post-separation security. *Journal of Family Violence* (in press).
- Laing, L. (2008). Children, young people and domestic violence. *Australian Domestic and Family Violence Clearinghouse Issues Paper*, 2.
- Liang, B., Goodman, L., Tummala-Narra, P., & Weintraub, S. (2005). A Theoretical Framework for Understanding Help-Seeking Processes Among Survivors of Intimate Partner Violence. *American Journal of Community Psychology*, 36(1–2), 71–84. <https://doi.org/10.1007/s10464-005-6233-6>
- Law of Georgia on Violence Against Women And/or Elimination of Domestic Violence, Protection and Support of Victims of Violence, No. 761 (2017). <https://matsne.gov.ge/en/document/download/26422/14/en/pdf>
- Law of Georgia on Gender Equality, No. 2844 (2010). <https://matsne.gov.ge/en/document/view/91624?impose=translateEn&publication=9>
- Logan, T. K., & Walker, R. (2004). Separation and intimate partner violence: Implications for women's safety. *Journal of Interpersonal Violence*, 19(12), 1340–1357.
- Marcuello-Servós, C., Corradi, C., Weil, S., & Boira, S. (2016). Femicide: A social challenge. *Current Sociology*, 64(7), 967–974. <https://doi.org/10.1177/0011392116639358>
- Meyer, S. (2016). Still blaming the victim of intimate partner violence? Women's narratives of victim desistance and redemption when seeking support. *Theoretical Criminology*, 20(1), 75–90. <https://doi.org/10.1177/1362480615585399>
- Morgado, R. (2019). Women victims of domestic violence: How to be safe after separation? *COJ Nursing & Healthcare*, 5(2). <https://doi.org/10.31031/COJNH.2019.05.000618>
- Novin, S., Tatar, B., & Krabbendam, L. (2015). Honor and I: Differential relationships between honor and self-esteem in three cultural groups. *Personality and Individual Differences*, 86, 161–163. <https://doi.org/10.1016/j.paid.2015.05.037>
- Ogbe, E., Harmon, S., Van den Bergh, R., & Degomme, O. (2020). A systematic review of intimate partner violence interventions focused on improving social support and/mental health outcomes of survivors. *PLoS One*, 15(6), e0235177.
- Pokharel, B., Hegadoren, K., & Papanthanasoglou, E. (2020). Factors influencing silencing of women who experience intimate partner violence: An integrative review. *Aggression and Violent Behavior*, 52, 101422. <https://doi.org/10.1016/j.avb.2020.101422>
- Roberts, G. L., Lawrence, J. M., Williams, G. M., & Raphael, B. (1998). The impact of domestic violence on women's mental health. *Australian and New Zealand Journal of Public Health*, 22(7), 796–801.
- Saunders, D. G., Jiwatram-Negrón, T., Nanasi, N., & Cardenas, I. (2023). Patriarchy's Link to Intimate Partner Violence: Applications to Survivors' Asylum Claims. *Violence against Women*, 29(11), 1998–2021. <https://doi.org/10.1177/10778012221132299>

- Sev'er, A. (1997). Recent or imminent separation and intimate violence against women. *Violence Against Women*, 3(6), 566–589.
- Spearman, L., Dragiewicz, M., & Harris, B. (2022). Post-separation abuse: Coercive control and the family court. *Feminist Criminology*, 17(1), 74–93.
- Spiwak, R. and Brownridge, D.A. (2005) Separate Women's Risk for Violence. *Journal of Divorce and Remarriage*, 43, 105-117. [https://doi.org/10.1300/J087v43n03\\_06](https://doi.org/10.1300/J087v43n03_06)
- Toews, M. L., & Bermea, A. M. (2017). I was naïve in thinking, “I divorced him and that’s it”: A qualitative exploration of post-separation power and control. *Journal of Interpersonal Violence*, 32(14), 2166–2189.
- UN Women. (2020). *Country gender equality profile of Georgia*. UN Women Georgia. <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2020/Country%20Gender%20Equality%20Profile%20of%20Georgia.pdf>
- Vikander, N., Daigneault, I., Hébert, M., & Marcil, K. (2023). Maternal strategies to protect children in the context of post-separation violence. *Child Abuse & Neglect*, 140, 106112.
- Walker, R., Logan, T., Jordan, C., & Campbell, J. (2004). An integrative review of separation and intimate partner violence. *Trauma, Violence, & Abuse*, 5(2), 143–166.
- Walker, S., & Gill, A. K. (2019). Women who kill: Examining female homicide through the lens of honour and shame. *Women's Studies International Forum*, 75, 102247. <https://doi.org/10.1016/j.wsif.2019.102247>
- Wessells, M. G., & Kostelny, K. (2022). The Psychosocial Impacts of Intimate Partner Violence against Women in LMIC Contexts: Toward a Holistic Approach. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 19(21), 14488. <https://doi.org/10.3390/ijerph192114488>
- WHO (World Health Organization). (2013). *Global and regional estimates of violence against women: Prevalence and health effects of intimate partner violence and non-partner sexual violence*. Geneva: WHO.
- Zara, G., & Gino, S. (2018). Intimate Partner Violence and its Escalation Into Femicide. Frailty thy Name Is “Violence Against Women.” *Frontiers in Psychology*, 9, 1777. <https://doi.org/10.3389/fpsyg.2018.01777>
- Zeoli, A. M., Rivera, E. A., Sullivan, C. M., & Kubiak, S. (2013). Post-separation abuse of women and their children: Measuring the effect of laws. *Violence Against Women*, 19(5), 603–625.